ინტერმუნიციპალური საქმიანობის გაძლიერება საქართველოში

თვითმმართველ ერთეულს თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად უფლება აქვს ორგანული კანონით დადგენილი წესით ითანამშრომლოს სხვა თვითმმართველ ერთეულთან.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 76 (3).

ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა - ურთიერთდამოკიდებული ადგილობრივი თვითმმართველობების ჰორიზონტალური კოორდინაცია, რათა ერთობლივად უზრუნველყონ მუნიციპალური მომსახურება ან/და განახორციელონ ერთი ან მეტი საჯარო პოლიტიკა ჩართულ ადგილობრივ ერთეულებს შორის ძლიერი იერარქიის არსებობის გარეშე.

SIGMA PAPER NO. 70, 2024

ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის **მიზნები:**

01 საჯარო ადმინისტრირების ეფექტურობის გაზრდა და მოსახლეობასთან სიახლოვე

02 მომსახურების გაუმჯობესების ხარჯზე ხარჯების შემცირება

03 ადგილობრივი ორგანოების მოქმედების თავისუფლება

	დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
01	ეკონომიკურ-ფინანსური სარგებელი	გადაწყვეტილების მიღების ნელი პროცესი
02	ერთიანი მართვის ეფექტურობა	ხარჯების, კადრების დუბლირების რისკი
03	კომბინირებული ადმინისტრაციული რესურსებით უკეთესი მართვა	შემცირებული ანგარიშვალდებულება და პოლიტიკური ავტონომიის ნაკლებობა
04	უკეთესი ხილვადობა	
05	გარე ფინანსურ რესურსებზე უკეთესი წვდომა	

პრობლემა:

ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის დაბალი ხარისხი საქართველოში

გამომწვევი მიზეზები:

I. საკანონმდებლო ბაზის ნაკლებობა

II. ადგილობრივი ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა

III. საჯარო პოლიტიკაში ინტერმუნიციპალურ თანამშრომლობაზე დაბალი აქცენტები

IV. ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის არასწორი აღქმა

შედეგები:

I. მუნიციპალური სერვისების მიწოდების დაბალი ხარისხი

II. ბიუჯეტის არაეფექტური ხარჯვა

III. ადგილობრივი პოლიტიკის ფრაგმენტულობა და არამდგრადობა

რეკომენდაციები გამოწვევების დასაძლევად:

საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის:

- მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის სამართლებრივ პრინციპებსა და პროცედურებს.

აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის:

- უზრუნველყოს **მატერიალური ფისკალური დეცენტრალიზაციის** პროცესი და ადგილობრივ ორგანოებს გადასცენ ფინანსური რესურსები თავისუფლად მოსახმარად.
- **საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებში უფრო მეტი აქცენტი გააკეთოს ინტერმუნიციპალურ საქმიანობაზე**
- სახელმწიფო თუ დონორების მიერ გამოყოფილი გრანტების გაცემისას დაადგინოს **გრანტების სპეციალური წილი,** რომლითაც დაფინანსდება მხოლოდ ინტერმუნიციპალური პროექტები.
- შეიმუშავოს **ინტერმუნიციპალური თანაშრომლობის პრაქტიკული სახელმძღვანელო**
- **ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს** მისცეს **თავისუფალი მოქმედების ფართო არეალი** და აღმოფხვრას არაფორმალური დამოკიდებულების ცუდი პრაქტიკა.

ადგილობრივი ხელისუფლებისათვის:

- **ადგილობრივი სამართლებრივი აქტებით** თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოაწესრიგოს ინტერმუნიციპალური საქმიანობის მიმართულება, რაც შესაძლოა გავრცელდეს სხვა მუნიციპალიტეტებშიც.
- სხვადასხვა პროექტებით უზრუნველყოს **ადგილობრივ მოხელეთა კომპეტენციის ზრდა** და ხელი შეუწყოს პროფესიონალი კადრების მუნიციპალიტეტში დაბრუნებას.
- **ადგილობრივ პოლიტიკურ დოკუმენტებში** გააძლიეროს ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ასპექტი
- **თავისი ინიციატივით,** ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად შექმნას ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის დაწყების პრაქტიკა და საკითხის აქტუალურობა წამოწიოს ადგილობრივ დონეზე.
- დაიდენტიფიცირეს თავისი და სხვა მუნიციპალიტეტების უნიკალური რესურსი და შეიმუშავოს მისი გამოყენების **ერთობლივი სტრატეგია.**
- შეისწავლოს ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის **კარგი პრაქტიკა** და ითანამშრომლოს სხვა მუნიციპალიტეტთან, მათ შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

შენიშვნა:

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მასალა მომზადდა პროექტის, „ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორინგისთვის საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მისი შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას.